ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N134

ქ.ქუთაისი 12.12.2019

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ მისი მმართველის კობა ფხაკაძის სახით, (მის.: ქ.ქუთაისი. წმინდა ნინოს ქ. N9) (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ს/ს ,,ქებული კლიმატი“ მისი დირექტორის თემური არზიანის სახით ს/ 202283242 (შემდგომში მიმწოდებელი) სახით მის.: ქ.თბილისი აკ.ბელიაშვილის ქ. N40 ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელსეკრულების საგანია 2019 წლის ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ბიუჯეტის სახსრებით გაერთიანების N16 ფილიალისათვის ცენტრალური გათბობის საქვაბე დანადგარის შეკეთება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვების ობიექტია: ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექ. მომსახურეობა წინამდებარე ცხრილის შესაბამისად.CPVკოდი 50720000

№	არტიკული	საქონლები (სამუშაოები, მომსახურებები)	რაოდ.	ერთ.	ფასი	თანხა
1	NEA2500008	ანტინაკიპი 10კგ. NEA2500008	0.6	ცალი	83.33	50.00
2		8-716-771-426-0 დამცავი სარქველი Euromaxx	1	ცალი	70.00	70.00
3		მომსახურება(მონტაჟი)	1	ცალი	100.00	100.00
					სულ:	**220.00**
					მათ შორის დღგ:	**33.56**
					სულ გადასახდელი:	**220.00**

სულ დასახელებები3, თანხაზე 220,00 GEL

თანხა სიტყვიერად: ორას ოცი ლარი და 00 თეთრი

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 220 (ორას ოცი) ლარს, საქართველოში დადგენილი ყველა სახის ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი, პირობები, საგარანტიო ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის და მომსახურების შესრულების ადგილია მხარეთა მიერ განსაზღვრული მისამართი.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა დ.ღ.გ-ს გათვალისწინებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელსეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთნ.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელსეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.მხარეთა პასუხისმგებლობა ხალშეკრულების დარღვევისას:

8.1 მხარეთა მიერ ხალშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კონონმდებლობის შესაბამისად

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებების შესრულებისათვის მის მიერ დამრღვევი მხარისათვის დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების ვადის დადარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება საჯარიმო სანქცია, ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1% ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

9.1 წინამდბარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავედა მოქმედებს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა:

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველელი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი.

11.1 მხარეები არ არინ პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებლო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

12.1 ხელსეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის სემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვისა და სახელმწიფო სესყიდვების განყოფილების სესყიდვების სპეციალისტი ლაშა ფურცხვანიძე

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადსცეს მესამე პირს თავისი უფლებები, მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლიარი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ემაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდმას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ	ს/ს ,,ქებული კლიმატი“
დაწესებულებათა გაერთიანება	
მის.: ქ.ქუთაისი წმინდა ნინოს ქ.N9მის.:	ქ.თბილისი ბელიაშვილის ქ.N40
ს/კ 412677269	ს/კ 202283242
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	ს/ს პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი : TRESS.GE	ბ/კ MIBGGE22
ორგანიზაციის კოდი 050102	ა/აGE 41 PC 022 3600 10000 5176

მმართველი	დირექტორი
კობა ფხაკაძე	თემურ არზიანი

NNLE Kutaisi City Sport Institutions Union

Digitally signed by NNLE Kutaisi City Sport Institutions Union
DN: cn=NNLE Kutaisi City Sport Institutions Union, 2.5.4.97=NTRGE-412677269, o=, c=GE
Date: 2019.12.12 12:26:52 +04'00'

Temur Arziani

Digitally signed by Temur Arziani
Date: 2019.12.12 13:19:36 +04'00'